# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 771

დამატების № 138

შაბათი, 14 იანვარი 1917 წ.




წმ. ნინო



ჯვარცმული. სურათი იგნ. ზულოგისა

# ნინოობა დღეს

**სალამი გზიდან სამშობლოს ნინოებს.**

სამშობლოს გარედ ნინოობა დღეს
ვინ იცის სად არ ვიხეტიალებ?
ვინ იცის გული რა ბოლმით განსძლის,
ვინ უწყს გულში რას დავიტრიალებ?..
ნინოობა დღეს ჩემი სამშობლო
სასწაულისას აღმართავს ალამს
და თვით ურწმუნო, უთანამგრძნობლო
დაფარულ გრძნობას ვეღარ დაჰმალავს.
მე კი, ვინ იცის სამშობლოს გარედ
გულში რა ნაღველს დავიტრიალებ,
სად გადმოვაფრქვევ ცრემლებსა ცხარედ,
სად ვილანღალებ, ვიხეტიალებ?..

მაგრამ რაც უნდა შორს ვიყო დღეს მე,
რაც უნდა მძულდეს სამშობლო ჩემი
და თვალწინ მედგეს, თუკი ოდესმე
მსდევდა იქ ბედი თავზარ დამცემი,
ან და რაც უნდა ავმაღლდე სხვაგან,
რაც უნდა გავხდე იქ ბედნიერთ
და თვით ზეგარდმო განგებისაგან
მომეცეს ნიჭი, ზე-კაცთ იერი—
გულს არ ჩავიქრობ სატრფიალო ჭრაქს,
სადღეგრძელოს თქმად მეპყრობა ჭიქა
და ვიამაყებ, რო სამშობლო მაქვს,
რო ნინოობა დღე არის იქა!

**ი. მჭედლიშვილი.**

# დრო მიჰქრის...

დრო მიჰქრის... და მის კოცონზე ჩაიფერფლა ცეცხლის სული...
ვერ გავიგე, როგორ გაჰქრა შვება-ყრმობის გაზაფხული,
ვერ გავიგე, ზამთრის სუსხი გულში როგორ შემეპარა...
როგორ დასჭკნა სიხარულის ქორფა ვარდი ყელ-ყარყარა.

—

აღარ მახსოვს, როდის იყო, ერთხელ მზე რომ ამობრწყინდა...
... და ჩუნების სიხალისემ გათქმევინა ლოცვა წმინდა...
გაზაფხულის ცელქმა შვებამ გული შვებით ამიძგერა,
და... და მოსწყდა ჩემს შვების ჩანგს სიხარულის ჰანგთა ჟღერა...
მაგრამ... მაგრამ შვების ცაზე ღრუბელთ ქარი ამოცურდა...
... ზამთრის სუსხმა შვების ბაღი გამიცარცვა, გამიქურდა...
... შავმა ბედმა არ დამინდო, მომაშორა მშობელ მხარეს,
გული სევდით დამიბურა, შემაჩვია ცრემლებს მწარეს...

—

და არ ვიცი, აწი რა მაქვს საიმედო, სანეტარო,
აწი ვინლა შემიყვარებს, აწი ვინლა შევიყვარო?..
აწი ვინლა გამიმრთელებს გულს სევდებით დაწყლულებულს?
აწი ვინლა უკურნალებს სულს ავადჰყოფს ხავს-მოდებულს?..

—

ოჰ! რა ჩქარა ჩაიფერფლა დროს კოცონზე ცეცხლის სული!..
ოჰ! რა ჩქარა ჩაჰქრა გულში ცეცხლი შვებად აღგზნებული!..
ვერ გავიგე, ზამთრის სუსხი გულში ისე შემეპარა,
და ცხოვრებამ სევდის ცრემლი დამაფრქვია, დამაყარა..

**ი. ვადაჭკორია.**

# შორეული მეგობრები

იქ საცა მზის სხივთა ალერსით გახურებულ მიწის მკერდს ცის-ფერ ზოლებად გადაგრეხოდა მთის წყაროები, იქ სადაც მაღალი წიფლები საამო ჩრდილს ჰფენდნენ დაბალ ქოხებს, საყვირის ხმაზე ამოვიდოდნენ მაღაროებიდან სახე გამურული შრომისა შვილნი და-სასვენებლად...

იქ სიცოცხლის ნიზანი ქვა-ნახშირის ძიებაში გაყინულიყო. იქ ათასგვარ ჯურის ხალხს მოეყარა თავი. იქ ათასთა და ათი-ათასთა ბედი ებრძოდა თვის უბედობას. იქ ათასი და ათი-ათასი ატარებდა თვის უფერულ ცხოვრების წუთებს ლუკმა პურის ძიებაში.

იქ პირველად დაუმეგობრდნენ ისინი ერთურთს, იქ პირველად გაუზიარეს თავის გულის ნადები შორეულმა მეგობრებმა.

ერთი მათგანი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ოსმალელი იყო და მეორე კი ამ ქვა ნახშირის მაღაროებით გულდასერილ მთების შვილი. მრავალი ოსმალელი იყო ამ მაღაროებში, მაგრამ არც ერთ ოსმალელთან ჰაჯი არ ყოფილა იმ რიგად დამეგობრებული როგორც მირიანთან. მრავალი იყო მირიანის თანამემამულენი, მაგრამ არც ერთ მათგანს ისე არ შეთვისებია იგი როგორც ჰაჯის.



გულვალა კაიკაციშვილი.
(ქართული გაზეთების ძველი თანამ.)



ემეთოდე ქათამაძე.
(ს. აჭარის სკოლის ?და ?სხ. რამდენიმე ათასი მან შესწირა.)



მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თავ. ნ. დ. გოლიცინი.

ყველას უკვირდა ეს მეგობრობა და ყველა საბედისწეროდ სთვლიდა მათ დაახლოებას.

—

მხურვალე მზე დაჰყურებს მიწას. დაღლილ დაქანცული მეგობრები ჩამოსხდნენ ნაკადის პირად.

ახალგაზრდა ოსმალო წარსულ დროთა მოგონებამ გაიტაცა და ნაღვლიან სიმღერით გამოიტირა თვისი სამშობლოს სიყვარული.

ფიქრებით გატაცებული მირიანი დიდხანს უსმენდა მას და როდესაც ჰაჯის ბაგენი დუმილმა შეიპყრო, დაბალი ხმით შეეკითხა:

— გინდა დაბრუნდე შენს სამშობლოში?

— ჰმ! მინდა? მაგრამ ჯერ ფული, ფული, უფულოდ ძნელია იქ ცხოვრება.

— უფულოდ არც აქ არიან ნეტარებაში, მაგრამ რად გიყვარს შენი სამშობლო? ნუ თუ თქვენს ჰარამხანებში იპოვი უფრო ლამაზ ასულთ ვიდრე აქ, ნუ თუ იქ, სადაც პირველად შეეგებე სიცოცხლის დილას, უფრო მხურვალედ ანათებს მზე ვიდრე აქ?

— მე მიყვარს ჩემი სამშობლო.

— და რად გაჰყიდე საყვარელი სამშობლო ბედის ძიებაზე? ხუთი წელია არა, რაც გადმოაბიჯე შენს სამშობლოს საზღვრებს? ხა! ხა! ხა! და ამ ხნის განმავლობაში ხომ შესაძლოა იმ შენს რჩეულს ვინმემ ჩამოხსნა ჩადრი და კოცნის ნაკვალევი დააჩინა მზის მწველ სხივებში გაუბანელ ლოყებზე?

— ეგ არ მოხდება.

— ეჰ ჰაჯი, რა არა ხდება ჩვენდა დაუკითხავად? განა არ შეიძლება ეხლა, სწორედ ამ წუთს, როდესაც შენი გული ასე ვნებით სძგერს მის მოგონებით, ვარდის ფრად აყვავებულ ნოხზე გადაწოლილი შენი ზულეიმა სიყვარულის ნანას უმღერდეს ვინმე გალაღებულ შენს თანამემამულეს?

— გიაურ! ალაჰის რისხვა იყოს შენს თავს, შენ მე ეჭვებით მიცხრილავ სულს, წამოიძახა ჰაჯიმ და ფეხზე წამოიჭრა.

— იყუჩე ჰაჯი! მაპატიე! რა ვუყოთ რომ ჭეშმარიტება არ არის ტკბილი მოსასმენი გესმის? გვეძახის საყვირის ხმა, მაგრამ ზულეიმას კოშკისკენ კი არა, ხა! ხა! ხა! იქ, იქ, ჯურღმულისაკენ.

—

თქვენ სადღა მიდიხართ, საით მიემგზავრებით მარად ჩემო რად გამოკრთის შენს სახეზე მწუხარება, რად ანებებ თავს აქ მუშაობას? რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— გაგიწვიეს ოსმალეთში? ბოლო დროს რაღაც მოიწყინე ჩვენს მხარეში, ეხლა ხომ მალე იხილავ შენს ზულეიმას?

— მაგრამ რისთვის გვიწვევენ, სად მიდიხართ თქვენ?

— იქ, საიდანაც შესაძლოა არც ერთი ჩვენგანი არ დაბრუნდეს. დამძიმდა ჰაერი ჰაჯი. სიკვდილის ცივმა სუნთქვამ დაამძიმა ის. დაჟანგულ ხმლებს ეხლა ლაპლაპი გააქვთ მზის სხივებზე. ცივი ქვის მკერდზე ცივი ლითონი ცეცხლის ნაპერწკლებს ისვრის. საბედისწერო ხმა, ომი ომი! ისმის ყოველგან.

— ეგ არ არის კარგი.

— ჩვენ ამის გარჩევას არ გვეკითხებიან, მაგრამ ერთი ცხადია, შესაძლოა ხვალ ჩვენ, ორი შორეული მეგობრები პირისპირ შევხვდეთ ერთმანეთს ბრძოლის ველზე და მაშინ ჩვენი ხანჯლები იმ რიგადვე გადაჰკოცნიან ერთმანეთს როგორც ჩვენ ვკოცნიდით დღემდის. მშვიდობით. როდესაც შენს იარაღზე ცელქად ათამაშდეს მზის სხივები, მოიგონე რამ იგივე სხივები ისევე ეთამაშებოდა შენს შუბლიდან ჩამონაწვეთ ოფლის მძივებს, აქ ამ უცხო მხარეში და მოიგონე რომ აქ გყავდა შენ შორეული მეგობარი, გყავდნენ ნაცნობნი, თანამგრძნობნი და ხვალ კი შესაძლოა ამ ქვეყნის საზღვრებს მოადგეთ დასარბევად შენ და შენი თანამოძმენი. იცოდე რომ, თუ ჩვენ იქ ბრძოლის ველზე ჩვენ პირისპირ შევხვდით... მაგრამ კმარა... მითხარ, თავგანწირულად იბრძოლებ შენს სამშობლოსათვის?

— შენ?

— საშინელია ეგ კითხვა ჰაჯი, გულს რაღაც საშინელება ფლობს, შენ კიდევ ბედნიერი ხარ რომ ნებით თუ უნებურად სამშობლოსათვის იბრძოლებ, მე კი ვისთვის ვიბრძოლო ან რისთვის და ბრძოლის ღმერთი კი გვიხმობს, გვეძახის.

მაკოცე ჰაჯი უკანასკნელად, დღეს კიდევ მეგობრები ვართ, მაგრამ რანი ვიქნებით ხვალ, ხვალ! მაკოცე! აი ამ ჩამავალი მზის სხივები იყვნენ მოწამე რომ ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

— და გვეყვარება.

კოცნით გაშორდნენ ერთურთს შორეული მეგობრები.

—

შეკრთა... უკუ ჰყარა თვისი სხივები ცხოველმყოფელმა, როდესაც დაინახა როგორ ამოცვივდნენ გორაკებიდან მისი სახის მზგავსი მოელვარე ბურთები და ერთმანეთის შესახვედრად იწყეს სრიალი ჰაერში. მათთან მოჰყვებოდა მიწის წიაღიდან საშინელი გრგვინვა და როდესაც დაეშვებოდნენ ისევ ათასი ნამსხვრევები გარბოდნენ აქეთ იქით და სპობდნენ ანადგურებდნენ ყოველივეს. უკვირს სხივთ მფრქვეველს როდის დაგროვდა მიწის უფსკრულში ამოდენი სიმხურვალე, ამოდენი სინათლე, რომ ეხლა ბურთის მზაგავსად შეკუმშულნი საბედისწეროდ ეალერსებიან ერთურთს, უკვირს სახე უფითრდება და რუხ ნისლს იბურავს, რომ დაფაროს თვისი მღელვარება.

ეჰ რა იცის მან, რომ ამ გავარვარებულ ბურთებით თამაში სიცოცხლემ მოიგონა თავისივე გასანადგურებლად?

და გრგვინავენ, როხროხებენ საბედისწერო ბურთები და წივილ-კივილით ხმას აძლევს მას პაწია წვეტიანი ტყვიის ისრები და ხივილ-ხივილით, ჩხრიალ-წკრიალით ერთმანეთს ამ ხმებით ეალერსებიან:




— ვის ჩავაბარო ახალიწელი? კადეტებს თუ შავრაზმელებს?
(რუს. ვოლია).

მოკვდით, მოვკვდებით, განადგურდით, გავნადგურდებით.

თითქოს ჩაჰქრა, ჩანელდა უცნაური მათი თამაში, მაგრამ ჰა, შეიქნა წკრიალი ხმალთა, ცეცხლის თამაშმა ადგილი დაუთმო ცივ ლითონის ჩახა-ჩუხს.

და ამოიშალნენ სანგრებიდან ფერმიხდილი სახე გაცრეცილი მეომარნი და მოეფინენ მკვდრებით მოთესილ ბრძოლის ველს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა... და მკის, მკის სიკვდილის მრისხანე უხილავი ხელი და აშენებს მსხვერპლთა გორაკებს ვით ბასრი ცელი თივის ბულულებს.

მოვკვდი... ვაჰმე... მომკლეს... დედაა... სიკვდილი მტერს... დაჰკარ... მოჰკალ!.. ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები და დაუსრულებელი სიტყვები იყინება მომაკვდავთა ბაგეზე.

ტრ... დავ... დაფ... სცემს გიჟივით ბარაბანი. ტრრ... წკრრ. წკრრ... წკრიალებს სისხლში მოსვრილი იარაღი.

წინ! წინ... გარბის მირიანი იქით სადაც შეჯგუფულან მეომარნი.

— მიშველე... მომკლეს... ეძახის მას ფერხთ განრთხმული მომაკვდავი და გასისხლიანებულ ხელებს ხვევს მუხლებზე.

— მიშველე...

წიხლი მძლავრად გაიქნია რომ თავიდან მოეცილებინა ის. თვალებ ამღვრეული გარბის წინ. შეჩერდა.

— როგორ ლომივით იბრძვის, ჰა, შემოეხვივნენ გარს... მოკლენ ველარ უშველის ალაჰი გაარღვია წრე... უვნებლად გადარჩა...

ეხლა კი იბრუნებს პირს... ღმერთო ჩემო! ჩემსკენ მოაშურა, ვინ არის როგორ შურდულივით მოჰქრის...

შეუტიეს... და იმავე დროს როდესაც მოპირდაპირის ხმალი რისხვით დაეცა თავზე, მისი ხმალიც ღრმად ჩაეფლო თავდმასხმელს მკერდში.

— გიაურ.

— იყავ წყეული.

და ორივენი დაეცნენ პირქვე.

— ალაჰი! ალაჰი!

— ველარ გიშველის ალაჰი.

მთელი ძალღონით შეეცადა წამოდგომას, მოასწრო თვალი მის მოპირდაპირეს და ისევ ჩაიკეცა.

— მირიან ჩემო!

მანაც ასწია გასისხლიანებული შუაზე გადაჩეხილი თავი, სურდა დაენახა თუ ვინ ეძახდა მაგრამ სისხლით ამოვსებულმა თვალებმა ვერ სფერი გაარჩია.

— ვინა ხარ! ვინ მეძახი!

— მე ვარ, მე!

— ვინა ხარ მითხარი, მალე ვკვდები...

— შენი შორეული მეგობარი ჰაჯი.

— მომეცი ხელი შორეულო მეგობარო, მე ვკვდები.

— მირიან!

და ოსმალელი გადაგორდა მისკენ, მოხვია ხელი და კოცნით დააცხრა მის მიერვე ხმლით გადაჩეხილ შუბლს... სისხლმა შეღება მისი ბაგენი.

— მე ვკვდები, ვკვდები, მეგობარო.

— მეც მალე მოვკვდები.

— ოჰ არა! არა! ნუ მოკვდები ჩემის ხელით, ვაიმე...

— მირიან! მირიან! შენ ნუ მოკვდები ჩემის ხელით, შენ ნუ მოკვდები და მე კი დეე...

— მირიან! მირიან!

ეძახდა, ხვევდა მთრთოლვარე ხელს, მაგრამ ამაოდ.

რამოდენიმე წუთს შემდეგ ისევ გაახილა თვალები.

— ისევ აქა ხარ?

— აქა ვარ მირიან! მეც შენს გვერდით ვეგებები სიკვდილს.

— ჰაჯი რისთვის შევსწირეთ ერთმანეთის სიცოცხლე ბრძოლის ღმერთს? რისთვის? ან ვისთვის?

— შენ, შენ მითხარ მირიან! ვისთვის ან რისთვის.

— მშვიდობით... ჩვენ ვკვდე...

სიკვდილის დუმილის გადაქროლვამ გადაამსხვრია მისი უკანასკნელი სიტყვები.

— მირიან! მირიან!

სასოწარკვეთილი ეძახდა მას ჰაჯი და ამ ძახილში სიკვდილის სუნთქვა ნელ-ნელ ჰყინავდა მის სხეულს. ირგვლივ კი ისევ გაჰქონდა წკარა-წკური სისხლში მოსვრილ ხმლებს და ერთის ბაგეზე გაყინულ ხმას ვკვდები, მიშველე... იმეორებდა მეორეს ბაგე.

**მიხ. ბოჭორიშვილი.**

# მარტო ვარ...

(უკრაინული).

**მ. კოცუბინსკისა.**

ყურს ვუგდებ ჰანგებს, ჰანგებს, რომელიც არ ესმის არავის: ეს სიმღერაა ჩემი სულისა.

ყოველთვის და ყველგან მესმის იმის საყვარელი მოძახილი:

— შენ კი მარტო ხარ, მარტო!..

ვიცი ნამდვილად—ვერაფერი, ვერაფერი ვერ დაახშობს ამ წყნარ სიმღერას: გრიგალის წუწუნში, გაზაფხულის კისკისში, ჰექაქუხილის გრგვინვასა და ტალღათა შხაპუნში მესმის უცვლელი ისევ ის:

— მარტო ხარ, მარტო! .

ირგვლივ ხალხია. ბრწყინავენ მათი თვალები, წკრიალებს ხმა... ვერცხლის ძაფს ართავს გონება და ოქროსას გული; სიცოცხლის წუთი ნაპირსა ჰლახავს, შრიალებს, ცელქობს, ახლოა, ახლო სიმის ფიალა, მაგრამ ვიდრე ბაგე ჩემი შეეხებოდეს, უკვე მესმის ნაცნობი სამგლოვიარო ჰიმნი ჩემი სულისა:

— შენ კი... მარტო ხარ!..

ვურვობ, ვმკვნესარებ. ხალხის ვაების ზღვაში ჩემი გულიდან გადმოჩუხჩუხე ნაკადულიც მირაკრაკებს. და თუმც გაწვდილია ხელი ჩემი თბილ, მეგობრულ თანაგრძნობისთვის, გაწვდილია იქითკენ, სადაც იგია საჭირო, თუმც გული ჩემი ღიაა სხვის ვარმის საზიაროდ, ღია, ვით ყვავილი დილის ცვარისთვის, მაინც... მაინც ვგრძნობ—იქ, სიღრმიდან, ვით წყევლა სამარადისო, როგორ ამოისმის:

— ჰა, ჰა, ჰა!.. მაინც მარტო ხარ, მაინც!..

და მაშინაც, როცა ჩემს გვერდით ჰფეთქს გული მოსიყვარულე, როცა ორი ნაპერწკალი ურთ-ერთს ეულღვის და ბედნიერების ალად პრიალებს, როცა გგონია საძიებელს ფარდა აეხადაო, მაშინაც კი...

მაშინაც შავ ნისლად მოშხუის ჩემი მკერდიდან მწვავე, ამაყი გამოძახილი:

— მე კი... მარტო ვარ, მარტო!...

**ობოლი სული.**




ყოველს როლს „უმწიკვლოდ" ასრულებს.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.